პროექტი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №

,,ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 დეკემბრის №12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ა დ გ ე ნ ს :**

მუხლი 1. შეტანილ იქნეს ცვლილება ,,ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 დეკემბრის №12 დადგენილებაში /www.matsne.gov.ge, 18.07.2014. N010250050.35.123.016224/, კერძოდ, დადგენილების N1 (ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის დებულება) დანართში:

ა) მე-2 მუხლის მე-2 პუნქტი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. სამსახურის სტრუქტურული ქვედანაყოფებია მეორადი სტრუქტურული ერთეულები:

ა) ეკონომიკური განვითარებისა და ტრანსპორტის განყოფილება;

გ) ქონების რეგისტრაციისა და განკარგვის განყოფილება.“

ბ) მე-8 მუხლი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,მუხლი 8. სამსახურის ეკონომიკური განვითარებისა და ტრანსპორტის განყოფილება

ეკონომიკური განვითარებისა და ტრანსპორტის განყოფილების ფუნქციებია კომპეტენციის ფარგლებში:

ა) ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობისა და სამეწარმეო აქტივობების სტიმულირებისათვის ადგილობრივი, ინტერმუნიციპალური, რეგიონალური და საერთაშორისო ღონისძიებების ორგანიზება, მათ შორის კონფერენციების, ფორუმების, სიმპოზიუმების, ტრენინგების, გამოფენა-ბაზრობების, ბეჭდური გამოცემების, სარეკლამო-საპრომოუშენო აქციების ორგანიზება;

ბ) ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების ანალიზისათვის შესაბამისი უწყებებიდან სტატისტიკური ინფორმაციის, მონაცემების, მაჩვენებლების შეგროვება, დამუშავება და დარგობრივი კვლევების ჩატარება;

გ) ადგილობრივი საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესების მიზნით წინადადებებისა და რეკომენდაციების მომზადება;

დ) შიდა და გარე პოზიციებზე ადგილობრივი ეკონომიკური პოტენციალის წარმოჩენის ხელშეწყობის მიზნით წინადადებებისა და რეკომენდაციების მომზადება, საერთაშორისო და რეგიონალურ გამოფენა-ბაზრობებში, კონფერენციებში, სემინარებსა და სიმპოზიუმებში მონაწილეობა;

ე) ადგილობრივ გადასახადებსა და მოსაკრებლებზე წინადადებებისა და რეკომენდაციების მომზადება;

ვ) ადგილობრივ მეწარმეებთან თანამშრომლობის, გამჭვირვალე და კორუფციისაგან თავისუფალი საკომუნიკაციო ქსელის შექმნისათვის წინადადებებისა და რეკომენდაციების მომზადება;

ზ) მოქალაქეთა სამეწარმეო უნარების განვითარების ხელშეწყობისათვის წინადადებების, რეკომენდაციებისა და პროექტების შემუშავება და განხორციელების კოორდინირება;

თ) მდგრადი ენერგეტიკის სამოქმედო გეგმის („SEAP“) განხორციელების კოორდინაცია, მონაცემთა ბაზის შექმნა;

ი) ენერგოეფექტურობაზე ორიენტირებული საერთაშორისო პრაქტიკის შესწავლა, ადგილობრივ დონეზე მათი დანერგვისათვის წინადადებების მომზადება, კერძო და საჯარო ინიციატივების ხელშეწყობა; ცნობიერების ამაღლების მიზნით საინფორმაციო, საგანმანათლებლო, სადემონსტრაციო და საკონსულტაციო ინსტრუმენტების შემუშავება;

კ) ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სატრანსპორტო მომსახურების მოთხოვნათა დაკმაყოფილების უზრუნველყოფის ხელშეწყობა, ადგილობრივი რეგულარული სამგზავრო გადაყვანის პროცესის კოორდინირება ქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში;

ლ) სატრანსპორტო მომსახურების გაუმჯობესების მიზნით პროექტების, წინადადებების მომზადება;

მ) საქალაქო ტრანსპორტის სფეროს განვითარების მიზნით პროგრამების შემუშავება და მათი რეალიზების ხელშეწყობა საზოგადოების მოთხოვნილებების გათვალისწინებით, აღნიშნულ პროგრამებში ცვლილებების პროექტის მომზადება;

ნ) მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ადგილობრივი რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ტარიფებისა და მგზავრობის ღირებულების გადახდის ფორმების თაობაზე წინადადებების მომზადება;

ო) წინადადებების მომზადება ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვის მოსაკრებლის ამოღების რეგულირების თაობაზე, მოსაკრებლის გადახდის კოორდინაცია და კონტროლი;

პ) დადგენილ მარშრუტებზე მგზავრთა ნაკადების შესწავლის ორგანიზება, ადგილობ-რივ საქალაქო რეგულარულ სამგზავრო – სატრანსპორტო სქემებში ცვლილებების თაობაზე წინადადებების მომზადება;

ჟ) ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვის გაცემა საქართველოს კანონმდებლობის, საკრებულოსა და მერიის სამართლებრივი აქტების საფუძველზე;

რ) საქალაქო მარშრუტებზე გადამზიდავთა საქმიანობის კოორდინირება;

ს) გადამზიდავთა მიერ სანებართვო პირობების დაცვის კონტროლი;

ტ) ქალაქ ქუთაისის ადმინისტრაციულ საზღვრებში პარკირებისა და მოძრაობის ორგანიზაციის ტექნიკური საშუალებების დაყენებაზე, მოხსნასა და მონიშვნაზე შესაბამის სამსახურებთან, სამართალდამცავ ორგანოებთან და სტრუქტურებთან კოორდინაცია და წინადადებების მომზადება;

უ) წინადადებების მომზადებას M_1, M_2, M_3 კატეგორიის სატრანსპორტო საშუალებებისათვის, გაჩერებების განსაზღვრისა და გაჩერებებზე შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობაში მონაწილეობის მიღება შესაბამის ადმინისტრაციულ და სამართალდამცავ ორგანოებთან ერთად;

ფ) შესაბამის სამართალდამცავ ორგანებთან შეთანხმებით, ქუჩებსა და მოედნებზე საგზაო ნიშნებისა და მოძრაობის ორგანიზების სხვა საშუალებების დაყენების/მოხსნის, მონიშვნითი სამუშაოების განხორციელებაზე წინადადებების მომზადება და კოორდინაცია;

ქ) მოქმედი კანონმდებლობითა და მუნიციპალიტეტის სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული სხვა ფუნქციების განხორციელება.“

დ) ამოღებულ იქნეს მე-9 მუხლი.

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

იუზა უგულავა

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელი